

## ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის ბიუჯეტის

### პროექტზე

### განმარტებითი

### ბარათი

საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 15 ივნისის N 987-ის დადგენილების საფუძველზე ქალაქი ზუგდიდი და ზუგდიდის მუნიციპალიტეტი გაერთიანდა ერთ ზუგდიდის მუნიციპალიტეტად. ახლად შექმნილი მუნიციპალიტეტის მერიამ 2018 და მომდევნო სამი წლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას როგორც შემოსულობების ისე გადასახდელების ნაწილში ანალიზი გაუკეთა ყოფილი მუნიციპალიტეტების მიხედვით 2015-2016 წლებში ბიუჯეტის შესრულების მონაცემებს, 2017 წლის მოსალოდნელი შესრულების მიმდინარეობას, 2018 წლის ბიუჯეტის პროგნოზირებისათვის რიგ მაჩვენებლებსა და პარამეტრებს, ასევე პროგრამებსა და ღონისძიებებში არსებულ სიახლეებს. რის საფუძველზე შედგენილი და წარმოდგენილია ბიუჯეტის პროექტი დანართის მიხედვით.

2018 და მომდევნო სამი წლისათვის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებია:

1. მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა;
2. ინფრასტრუქტურის მკვეთრად გაუმჯობესება;
3. სკოლამდელი აღზრდა-განათლებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდა და ხარისხის ამაღლება;
4. განუხრელი ზრუნვა მოსახლეობის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელებაზე;
5. კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდული პროგრამების ფინანსური მხარდაჭერა;

ზემოხსენებული პრიორიტეტების განსახორციელებლად ახალი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა, 2018 წლისათვის საკუთარი შემოსავლების მიხედვით, პროექტით წარმოდგენილია 36.500.0 ათასი ლარის ოდენობით.

### შემოსულობების ნაწილში:

შემოსულობების საერთო თანხიდან - 36 500.0 ათასი ლარიდან;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან დაშვებული პარამეტრების მიხედვით:

1) 19187.9 ათასი ლარი შეადგენს გათანაბრებით ტრანსფერს, რაც 350.0 ათასი ლარით აღემატება 2017 წელს ორივე მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილ გათანაბრებით ტრანსფერის თანხას.

2) 350.0 ათასი ლარი არის მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად

3) 8.800.0 ათასი ლარი გათვალისწინებულია გადასახადებიდან მისაღები შემოსავლები. მათ

შორის: 6.100.0 ათასი ლარი ქონების გადასახადიდან ბ) 2.700.0 ათასი ლარი საშემოსავლო

გადასახადიდან;

გარდა ფინანსთა სამინისტროს მიერ დაშვებული პარამეტრებისა.

1) 4.862.1 ათასი ლარის ოდენობით წარმოდგენილია სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი.

2) 3.300.0 ათასი ლარის ოდენობით არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი.

სხვა შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი ცალკეული სახეების მიხედვით წარმოდგენილია თანდართულ ცხრილში.

### ასიგნების ნაწილში

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროიორიტეტს წარმოადგენს მოსახლეობის სოციალური და ჯანდაცვის სფერო.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური საკითხები ძირითადად ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ადგილობრივ თვითმმართველობას შემუშავებული აქვს რიგი სახის პროგრამები მოსახლეობის სოციალური პირობების და ჯანმრთელობის დაცვის გასაუმჯობესებლად. მთლიანობაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი უნდა ჩაითვალოს სოციალურად ორიენტირებულ ბიუჯეტად, რამდენადაც ბიუჯეტის სახსრები მიიმართება, როგორც მუნიციპალიტეტში მაცხოვრებელ მოქალაქეთა პირადი სოციალური და ჯანდაცვის პრობლემების მოგვარების საკითხებისათვის ისე ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის (გზები, ხიდები, განათება, წყალმომარაგება და სხვა), სკოლამდელ დაწესებულებათა შენახვის, კულტურისა და სპორტის პროგრამების განსახორციელებლად. აღნიშნული სოციალური პროექტები კი მთლიანად მიმართულია მოსახლეობის საერთო საჭიროებათა განსახორციელებლად, ადამიანების ყოფითი, კულტურული, შემეცნებითი და სხვა მოთხოვნათა უზრუნველყოფისათვის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სოციალური და ჯანდაცვის დარგით გათვალისწინებულია ის პროგრამები და პროექტები, რომლებიც ძირითადად გათვლილია როგორც საერთო საჭიროებებზე, ისე ინდივიდუალურად კონკრეტულ ბენეფიციარებზე, მატერიალური და ფულადი დახმარების მიმღებ პირებზე ჯანდაცვის ღონისძიებებზე.

2018 წლისათვის ბიუჯეტის პროექტი ზემოხსენებული პროგრამების განსახორციელებლად ითვალისწინებს თანხების გამოყოფას 3.170.0 ათასი ლარის ოდენობით.

აქედან პროექტით წარმოდგენილია 700.0 ათასი ლარის გამოყოფა მუნიციპალიტეტში, უკიდურესად მძიმე პირობებში მაცხოვრებელთა ან უსახლკაროდ დარჩენილთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამისათვის. 2018 წლისათვის პროექტით გათვალისწინებულია

30 სახლის მშენებლობა და 20 თბილი ოთახის მოწყობა აღნიშნული პროგრამა ეტაპობრივად უზრუნველყოფს საბინაო პირობების მოგვარებას, უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას. პროგრამა

განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული წესის, დებულების და კომისიის მეშვეობით.

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვების უზრუნველყოფის პროგრამისათვის გათვალისწინებულია 150.0 ათასი ლარი, პროგრამა ითვალისწინებს უმწეო მოსახლეობის მორალურ და ეკონომიკურ მხარდაჭერას. კერძოდ, ყოველდღიურად (გარდა კვირისა) უმწეო მოქალაქეთა უზრუნველყოფას ცხელი სადილით დღეში ერთხელ. სასადილოს ბენეფიციარები შეიძლება იყვნენ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პირები, რომლებიც იღებენ ფულად დახმარებას (65 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულით), ასევე მარტოხელა დედები, მარტოხელა არამომუშავე პენსიონრები, შშმ პირები, ზრუნვის სისტემიდან გასული პირები და სხვა (250 ბენეფიციარის ფარგლებში). ბენეფიციართა შერჩევა მოხდეს წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე, სოციალური მდგომარეობის შემსწავლელი კომისიის მეშვეობით.

65.0 ათასი ლარის ოდენობით ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამა ითვალისწინებს ომის ვეტერანთა და მათი ოჯახების ხელშეწყობას, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა ერთჯერად ფულად დახმარებას, ფაშიზმზე გამარჯვების დღის-9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით. ასევე, ყოველთვიურ ფულად დახმარებას ადგილობრივ ვეტერანებზე და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული მებრძოლების ოჯახების ფინანსურ მხარდაჭერას.

100.0 ათასი ლარის ოდენობით ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა ითვალისწინებს მრავალშვილიანი და ახალშობილთა, უმწეო ოჯახების, მარტოხელა დედების, დედ-მამით ობოლი ბავშვების და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ერთჯერად დახმარებას. სოციალური დაცვისა და რეაბილიტაციისათვის. პროგრამა ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის კუთხით ფულად დახმარებებს წელიწადში ერთხელ: მრავალშვილიანი ოჯახებისათვის – (18 წლამდე ასაკის 4 შვილიან ოჯახს – 200 (ორასი) ლარით; 5 შვილიანი – 300 (სამასი) ლარით და ა.შ); პირველი – მეორე შვილის შექმნისას სოციალურად დაუცველ ოჯახებზე (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები) – 200 (ორასი) ლარით; ნებისმიერი კატეგორიისთვის: ტყუპების შექმნისას – 500 (ხუთასი) ლარით. დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვებს ყოველთვიური 50 (ორმოცდაათი) ლარის ჩარიცხვა. მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირს, რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილი, ყოველთვიური 50 (ორმოცდაათი) ლარის ჩარიცხვა. ოჯახური ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება 800 (რვაასი) ლარის ოდენობით.

200.0 ათასი ლარი გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ერთჯერადი დახმარებების და შშმ პირთა უფლებების დაცვის თარიღების აღნიშვნისათვის. პროგრამის მიზანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და მძიმე ონკოლოგიური ავადმყოფების ფინანსური მხარდაჭერა, მათი რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია საზოგადოებაში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (მკვეთრად გამოხატული) პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება 100

(ასი) ლარის ოდენობით. სმენა და მხედველობა დაქვეითებული პირებისთვის - ერთჯერადი ფულადი დახმარება 100 (ასი) ლარი; 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის და მძიმე ქრონიკული ავადმყოფობის მქონე ბავშვებისთვის - ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 (ორასი) ლარის ოდენობით; ასევე, შშმ პირთა სტატუსის მომვლელის საჭიროების მქონე ბენეფიციართა და მომვლელის საჭიროების მქონე ხანდაზმულის შინ მოვლის ქვეპროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მოვლის საჭიროების მქონე მძიმე ავადმყოფებისათვის მოვლის საზღაურის დაფინანსებას ყოველთვიურად 100 (ასი) ლარის ოდენობით. მძიმე ონკოლოგიური ავადმყოფების, რომლებიც გადიან ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპიის კურსს ან საჭიროებენ სხვადასხვა სახის გამოკვლევებს, რაც არ ფინანსდება სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამიდან, ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

130.0 ათასი ლარის ოდენობით წარმოდგენილია ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულების თანადაფინანსების პროგრამა აღნიშნული პროგრამით სიახლე არის პედაგოგების ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულების თანადაფინანსების პროგრამა, რომლის ამოქმედება მომავალი წლის ახალი სასწავლო წლიდან არის გათვალისწინებული. გაგრძელდება სოფელ ხურჩის მოსახლეობის, სტუდენტთა და დიალიზის პროგრამაზე მყოფ მოქალაქეთა მგზავრობის საფასურის თანადაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

170.0 ათასი ლარის ოდენობით - სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამა. ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ზუგდიდის ცენტრში ჩართული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პაციენტების და პერიტონეალური დიალიზის პროგრამაში ჩართული პაციენტების მედიკამენტების ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურება თვეში 50-100 (ორმოცდაათი-ასი) ლარის ოდენობით ადმინისტრაციული ერთეულის გათვალისწინებით, მზრუნველობამოკლებულთა უფასო სასადილოს ბენეფიციართა ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურება თვეში 25 (ოცდახუთი) ლარით. აღდგომის დღესასწაულზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ტრანსპორტით უზრუნველყოფა (სასაფლაოებთან მისასვლელად). საზღვრისპირა ადმინისტრაციული ერთეულის - ხურჩის მოსახლეობის ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯების თანადაფინანსება. სოციალურად დაუცველი სტუდენტების (სარეიტინგო ქულით 65 001-მდე) მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება წელიწადში ერთხელ 100 (ასი) ლარის ოდენობით.

80.0 ათასი ლარი გამოიყოფა - მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვის პროგრამაზე, რომელიც ითვალისწინებს მარჩენალდაკარგულთა ოჯახების მხარდაჭერას, რომლებსაც ყავთ 18 წლამდე ასაკის შვილი.

70.0 ათასი ლარი გათვალისწინებულია ხანდაზმულთა, მარტოხელა მოხუცების შინმოვლისა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებისათვის. პროგრამა ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 100 წელს გადაცილებული პირებისთვის წელიწადში ერთხელ ერთჯერადი ფულადი დახმარება 500 (ხუთასი) - ლარის ოდენობით და მარტოხელა მოხუცების

შინ მოვლას, ასევე 200 (ორასი) ლარიანი ერთჯერადი ფულადი დახმარება სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი უმწეო ბენეფიციარის ოჯახისთვის (სარეიტინგო ქულა 65001-მდე)

75.0 ათასი ლარის ოდენობით გამოიყოფა თანხები - სადღესასწაულო დღეებში დახმარების პროგრამისათვის, რომელიც ითვალისწინებს სადღესასწაულო დღეებში (შობა-ახალი წელი და აღდგომა) საზეიმო განწყობის შექმნის მიზნით, მრავალშვილიანი ოჯახების, უდედმამო ბავშვების,

100 წელს გადაცილებული პირების და მეორე მსოფლიო ომის მონაწილე პირთა ფინანსურ, მატერიალურ და მორალურ მხარდაჭერას. სადღესასწაულო დღეებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების (ახალი წელი და აღდგომა) საზეიმო განწყობის შექმნის მიზნით, მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეებს (ადგილობრივი და დევნილი), დედ-მამით ობოლ ბავშვებს, მრავალშვილიან ოჯახებს, მარტოხელა მშობლებს, მზრუნველობამოკლებულთა უფასო სასადილოს (250) და სოციალური საცხოვრისის (15) ბენეფიციარებისთვის, ასევე, სოციალურად დაუცველი ოჯახების (65 001 -ზე ნაკლები სარეიტინგო ქულით) ფსიქოსოციალური მხარდაჭერა საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფისა და საზეიმო განწყობის შექმნის გზით. შშმ პირთა უფლებების დაცვის დღის აღსანიშნავი ღონისძიების ფინანსური მხარდაჭერა ( 14 ივნისი, 3 დეკემბერი).

45.0 ათასი ლარი - დევნილთა მხარდაჭერის პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მაცხოვრებელი დევნილი მოსახლეობის იდენტიფიკაციის, მონაცემთა ბაზის დამუშავების, დევნილთა საყოფაცხოვრებო და კომუნალური პირობების ხელშეწყობის და სხვა ღონისძიებების დაფინანსებას, გარდაცვლილი დევნილის ოჯახზე დაკრძალვის ხარჯების დაფინანსება.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უმწეო დევნილი მოსახლეობის იდენტიფიკაცია, გარდაცვლილი უმწეო (65 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულით) დევნილის ოჯახზე ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 ლარის ოდენობით. ასევე, უკიდურესად დატაკი და განსაკუთრებული საჭიროების მქონე (მარტოხელა პენსიონერი, შშმ პირი, სოციალურად დაუცველი ოჯახი) დევნილი მოსახლეობის ერთჯერადი დახმარება 100 ლარის ოდენობით

110.0 ათასი ლარი - სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გათბობის საშუალებებით მხარდაჭერის და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების მატერიალური დახმარების პროგრამა. ზამთრის პერიოდში უკიდურესად დატაკი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უმწეო (სარეიტინგო ქულა 30 001-ზე ნაკლები) მოსახლეობის გათბობისათვის შეშის სანაცვლოდ ერთჯერადი ფულადი დახმარება 100 (ასი) ლარის ოდენობით.

განსაკუთრებით მძიმე სოციალური პირობების მქონე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ადგილობრივი უკიდურესად დატაკი (40 001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე), მრავალშვილიანები, შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები, მარტოხელა დედები,

მარტოხელა პენსიონრები და ა. შ.) ფინანსური მხარდაჭერა წელიწადში ერთხელ განსაკუთრებული საჭიროებისას (100-1000 ლარამდე).

70.0 ათასი ლარის ოდენობით გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციების და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი თანადაფინანსების პროგრამა პროგრამა მიზნად ისახავს მოწყვლადი ჯგუფების (სოც. დაუცველი, შშმპ, მრავალშვილიანი, ძალადობის მსხვერპლი, ზრუნვის სისტემიდან გასული, მარჩენალდაკარგული და ა. შ.) მიერ სხვადასხვა პროფესიისა და ხელობის შესწავლას და შემდგომში მათი დასაქმების პერსპექტივას. ზუგდიდის ტერიტორიაზე სოციალური საწარმოების განვითარების ხელშეწყობას. წარმოდგენილი პროექტების შერჩევა მოხდეს მერიაში შექმნილი კომისიისა და დებულების შესაბამისად.

25.0 ათასი ლარის ოდენობით წარმოდგენილია პროგრამა „სოციალური საცხოვრისი კეთილმოწყობილ გარემოში“.

900.0 ათასი ლარის ოდენობით წარმოდგენილია ჯანდაცვის პროგრამა რომელიც დეტალურად გადმოცემულია პროგრამულ ბიუჯეტში. პროგრამა ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ადგილობრივი და დევნილი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისა დაფინანსება/თანადაფინანსებას. პროგრამა განხორციელდეს შესაბამისი კომისიის დებულების მიხედვით.

ძვირადღირებული მედიკამენტების დაფინანსება - მაქსიმალური ლიმიტი 250.00 (ორას ორმოცდაათი) ლარი წელიწადში ერთხელ. მოსარგებლები:

სოციალურად დაუცველი პირები (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები);

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომში შშმ) პირები;

ონკოლოგიური ავადყოფები;

0-18 წლამდე ასაკის ბავშვები;

ქრონიკული დაავადებების მქონე პირები (ბრონქული ასთმა, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება, შაქრიანი დიაბეტი, გლუთკომა, გულის იშემიური დაავადება, ეპილეფსია, პარკინსონის დაავადება).

სტაციონარული სამედიცინო მომსახურება, ქირურგიული ოპერაციების დაფინანსება/თანადაფინანსება, წელიწადში ერთხელ.

მოსარგებლები:

მოქალაქეები, რომლებსაც ოპერაციის (გარდა ესთეტიური და რეპროდუქტოლოგიური ქირურგიისა) ღირებულება არ უფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის ან რომელიმე კერძო სადაზღვევო კომპანიის პროგრამებიდან - მაქსიმალური ლიმიტი 1 000.00 (ერთი ათასი) ლარი;

სოციალურად დაუცველი პირები (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები), შშმ პირები, სიმსივნით დაავადებული პირები, პენსიონრები, 0-18 წლამდე ასაკის ბავშვები - თანადაფინანსება საყოველთაო ჯანდაცვასთან/კერძო სადაზღვევო კომპანიასთან - 300.00 ლარამდე სრულად, 300-დან -1000-მდე 60 %-ით, 1000-დან 2000 ლარამდე 50%-ით, 2000 ლარის ზევით მაქსიმალური ლიმიტი 1000.00 ლარი;

განსაკუთრებული შემთხვევების (ავტოკატასტროფა, საყოფაცხოვრებო ან სამუშაო მძიმე ტრავმა, ქრონიკული დაავადების გართულება და ა.შ) დროს სხვა პროგრამებით გაუთვალისწინებელი გადაუდებელი, სამედიცინო მომსახურების დაფინანსება კომისიის გადაწყვეტილებით. მაქსიმალური ლიმიტი 1000 (ერთი ათასი) ლარი.

C ჰეპატიტის პირველადი დიაგნოსტიკის თანადაფინანსება - მაქსიმალური ლიმიტი 150.00 (ას ორმოცდაათი) ლარი, წელიწადში ერთხელ აუტიზმის აბილიტაციის პროგრამა - პროგრამა 40 ბავშვისთვის ყოველთვიურად 315.00 ლარი, სხვადასხვა სახის გონებრივი ჩამორჩენილობისა და ქცევითი აშლილობის მქონე ბავშვებისთვის:

დაუნის სინდრომი

ბავშვთა ცერებრული დამბლა (G-80.0-G 80.4, G 80.8- G 80.9)

სხვა პარალიზური სინდრომები (G-81.9, G-82.0, G-83.2)

განვითარების ეტაპების დაყოვნება (R-62.0)

სარეაბილიტაციო მკურნალობის დაფინანსება - მაქს. ლიმიტი 500.00 (ხუთასი) ლარი, წელიწადში ერთხელ.

იშვიათი დაავადებების (ცელიაკია და ფენილკეტონურია) მქონე პირების სპეციალიზირებული საკვების თანხით უზრუნველყოფა:

ცელიაკია -ყოველთვიურად 250.00 (ორას ორმოცდაათი) ლარი

ფენილკეტონურია -ყოველთვიურად 500.00 (ხუთასი) ლარი

ძვირადღირებული გამოკვლევების (კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, კორონაროგრაფია) დაფინანსება/თანადაფინანსება - მაქს. ლიმიტი 250.00 (ორას ორმოცდაათი) ლარი, წელიწადში ერთხელ.

ონკოლოგიური დაავადებების სკრინინგი: პროსტატის სპეციფიურ აგენტზე გამოკვლევა (40-50 წლამდე და 70 წ ზევით), ძუძუს კიბოს სკრინინგი (35-40 წლამდე 60 წელს ზევით), საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი (20-25 წლამდე და 60 წელს ზევით), კოლორექტალური სიმსივნის სკრინინგი (40-50 წლამდე და 70 წელს ზევით). ქვეპროგრამის მოსარგებლები:

სოციალურად დაუცველი პირები (სარეიტინგო ქულა 65 001-მდე)

შშმ პირები;

ძალადობის მსხვერპლი;

მარჩენალდაკარგული ბავშვის მშობელი;

განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სპეციფიური მოვლის საშუალებების (ექსკრემენტის მიმღები კონტეინერი) დაფინანსება -200 (ორასი) ლარი წელიწადში ერთხელ.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ადგილობრივ და დევნილ მოქალაქეებს შეეძლებათ ისარგებლონ წელიწადში ერთხელ სამედიცინო დახმარების პროგრამის ერთერთი ქვეპროგრამით, გარდა სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები), შშმ პირებისა და ონკოლოგიური ავადმყოფებისა, რომლებსაც შეეძლებათ ისარგებლებენ სხვადასხვა სახის მომსახურებით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამა წარმოდგენილია 280.0 ათასი ლარის მოცულობით. როგორც დელეგირებულ ისე ჯანდაცვის სხვა ღონისძიებებისათვის სახსრების

გათვალისწინებით. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილსამედო სანიტარული ეპიდემიოლოგიური ფონის შექმნა, ეპიდსაწინააღმდეგო პრევენციული ზომების გატარება, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის დაცვას ინფექციური და გადამდები დაავადებისაგან, ამცირებს ავადობის მაჩვენებელს.

აღნიშნული პროგრამის განხორციელებისათვის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის ფუნქციას: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა; იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა იმუნოპროფილაქტიკის მონაცემთა რუტინული დამუშავება, ანალიზი, შეფასება, დაზუსტება და ანგარიშგება პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა, მალარიის სკრინინგული კვლევა. დაავადებების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა, მალარიის დიაგნოსტიკა, სხვა პარაზიტული დაავადებების დიაგნოსტიკა, რეკომენდაციების მიწოდება.

სანიტარული ღონისძიებების გატარება საგანმანათლებლო-საადმინისტრაციული დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციარების მისაღები ფულადი დახმარებები და სოციალური გარანტიები ასახულია პროგრამული ბიუჯეტით.

სოციალურ საკითხებთან ერთად მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია განათლების სფერო.

განათლების სფეროს დაფინანსება პროექტით წარმოდგენილია 6.160.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის ძირითადი არის სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამა თანხით 5.000.0 ათასი ლარი, აღნიშნული პროგრამა ემსახურება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ სკოლამდელი დაწესებულებებში 4000.0 ათასზე მეტ აღსაზრდელს. ნიშანდობლივია, რომ 2018 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია ქალაქის და მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოებში განთავსებულ სკოლამდელ დაწესებულებებში ერთგვაროვან მუშაკებზე სახელფასო ანაზღაურების გათანაბრება, ხოლო 2018 წლის აპრილის

თვიდან ხელფასის განაკვეთების 10 პროცენტით ზრდა.

აქვე შევნიშნავთ, რომ სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, წყალგაყვანილობის, სანიტარული კვანძების მდგომარეობის საკითხი ცალკე შესწავლას, კვლევას მოითხოვს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების მასობრივ დეპუტატების, მერის წარმომადგენლების მონაწილეობით აქტიურად უნდა იქნეს დასმული საკითხი სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, რაც ბუნებრივია მოსახლეობის საერთო ინტერესებში შედის.



მიგვაჩნია, რომ აქტიურად უნდა მივიღოთ მონაწილეობა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საკითხებზე შემოთავაზებულ, მუნიციპალიტეტის მიერ მოწონებული პროექტების თანადაფინანსებაში, პროექტის განხილვაში შესაბამისი ჩართულობის და მონიტორინგის პირობით.

სკოლამდელ დაწესებულებათა ფუნქციონირებაზე გადასვლა ახალი სტანდარტების შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

სკოლისგარეშე სწავლისა და სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა წარმოდგენილია 900.0 ათასი ლარის ოდენობით აღნიშნულ პროგრამაში გაერთიანებულია მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის, N1, N2, სამუსიკო, საგუნდო-სამუსიკო და სამხატვრო სკოლების ფუნქციონირება.

საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა პროექტით წარმოდგენილია 200.0 ათასი ლარის ოდენობით, რაც გათვალისწინებულია მიიმართოს რიგი სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად.

განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდების და ბავშვთა ხელშეწყობის პროგრამა წარმოდგენილია 60,0 ათასი ლარის ოდენობით, რაც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მაცხოვრებელი, გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების მატერიალურ და მორალურ წახალისებას.

კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდული და სპორტულ ღონისძიებებზე პროექტი ითვალისწინებს 3528.0 ათასი ლარის გამოყოფას.

სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა მთლიანობაში წარმოდგენილია 1380.0 ათასი ლარის ოდენობით. აქედან: 1.300.0 ათასი ლარი გათვალისწინებულია სპორტის განვითარების ცენტრის და სპორტული ობიექტების სუბსიდირებისათვის, 20.0 ათასი ლარი სპორტული ღონისძიებებისათვის.

60.0 ათასი ლარით წარმოდგენილია ახალგაზრდული და გენდერული პროგრამების დაფინანსება რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდებში ცნობიერების ამღლბებს კულტურული და პიროვნული თვისებების განვითარებას. გენდერული პროგრამით უზრუნველყოფილი იქნება გენდერულად მგრძობიარე ბიუჯეტის ფორმირება და აღსრულება.

კულტურული ღონისძიებათა პროგრამისათვის პროექტი ითვალისწინებს 200.0 ათასი ლარის გამოყოფას.

კულტურული ღონისძიებათა პროგრამისათვის გათვალისწინებულია: საახალწლო - საშობაო, ქალთა და დედის დღისადმი, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, 12-ე კლასელების ბოლო ზარის, ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ზუგდიდქალაქობის, ვლადიკავკასიის დღისადმი, გიორგობის, მარიამობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამოები, შეხვედრები, კონკურსები, ანაკლიის საკურორტო სეზონის გახსნა და სხვა კულტურული ღონისძიებები.

კულტურის ძეგლების მოვლა შენახვის პროგრამა პროექტით წარმოდგენილია 450.0 ათასი ლარის ოდენობით, პროგრამა ითვალისწინებს ძეგლების დაცვას, მოვლას, რეაბილიტაციას, არქეოლოგიური გათხრების, კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების საძიებო ღონისძიებას, ექსპედიციის მოწყობას, კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული ნიმუშების რესტავრაცია-

რეაბილიტაციას, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების საადაპტაციო სამუშაოების შესრულებას. ასევე რელიგის სხვადასხვა კონფესიების პატივისცემას ხელშეწყობას მატერიალურ ტექნიკური ბაზის განმტკიცებას ღონისძიებებს საბიბლიოთეკო დარგის განვითარების პროგრამა პროექტით წარმოდგენილია 500.0 ათასი ლარის ოდენობით. ჩატარებული მონიტორინგით, ასევე, სამოქალაქო მონიტორინგის და კვლევის ცენტრის მიერ გაკეთებული ანალიზით და მოწოდებული რეკომენდაციებით გამოიკვეთა რომ საბიბლიოთეკო სისტემის მდგომარეობა სოფლად არსებით გაუმჯობესებას მოითხოვს, როგორც მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ისე წიგნადი ფონდის მხრივ. აუცილებლობას წარმოადგენს შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინება, ხელმისაწვდომობა წიგნით სარგებლობის სხვადასხვა ტექნიკური საშუალებებით და რაც მთავარია მუნიციპალიტეტისთვის იმ შენობების გადმოცემა, რომელშიც განთავსებულია სასოფლო ფილიალები.

პროექტით წარმოდგენილია ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსება 910.0 ათასი ლარის ოდენობით. პროგრამა ითვალისწინებს მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ცენტრის მიერ განსახორციელებელ არაერთ კულტურულ შემოქმედებითი სადამოებებისა და ღონისძიებების მოწყობა ჩატარებას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების ფუნქციონირებასა და მოვლა შენახვას.

„ჩხორიის სამოყვარულო თეატრის“ ბაზაზე გაგრძელდება სამოყვარულო თეატრალური ხელოვნების და ფოლკლორის წარმოჩენა და განვითარება.

პროგრამა ასევე ითვალისწინებს სამხატვრო გალერეის ფუნქციონირების გაგრძელებას, რომელიც ითვალისწინებს არაერთი შემოქმედებითი პორტრეტების გამოფენას მოყვარული და პროფესიონალური ხელოვანთა ნამუშევრების.

საინფორმაციო - საგამომცემლო საქმიანობისათვის პროექტი ითვალისწინებს 45.0 ათასი ლარის გამოყოფას. აღნიშნული პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობის და მოსახლეობის ინფორმაციული უზრუნველყოფა, მათი ჩართულობა მუნიციპალიტეტის საქმიანობასა და საბიუჯეტო პროცესებში.

2018 წლისათვის ბიუჯეტის პროექტით ინფრასტრუქტურის დარგით მთლიანობაში გათვალისწინებულია 13240.0 ათასი ლარის გამოყოფა. გარდა აღნიშნული თანხისა, წლის ბოლომდე საქართველოს მთავრობას წარედგინება საპროექტო წინადადებები და პარამეტრები სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად კაპიტალური ტრანსფერების გამოსაყოფად. ამ მიზნით 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია თანადაფინანსების თანხა 1000.0 ლარის ოდენობით.

გზების მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის 1000.0 ათასი ლარი; პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოსაყოფ კაპიტალურ ტრანსფერებთან ერთად განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება, გზების რეაბილიტაცია.

800.0 ათასი ლარი გათვალისწინებულია რეგიონალური ფონდებიდან პროექტების სამშენებლო ზედამხედველობის, საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის ხარჯებისათვის.

300.0 ათასი ლარით წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების მოვლა-შენახვის და სარეზიდუენტო ხარჯებისათვის.

ასევე პროექტით გათვალისწინებულია:

100.0 ათასი ლარი სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის;

200.0 ათასი ლარი სანიაღვრე არხების მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის;

200.0 ათასი ლარი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ხელშეწყობის პროგრამისათვის.

მუნიციპალიტეტის დასუფთავების პროგრამა წარმოდგენილია 4200.0 ათასი ლარის ოდენობით. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისა და ნარჩენების გატანა-განთავსების ღონისძიებებს.

პროგრამა უმნიშვნელოვანესია მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მოსახლეობის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს თვალსაზრისით.

არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება, მუნიციპალიტეტში კეთილმოწყობის ღონისძიებათა უზრუნველყოფის პროგრამას, რისთვისაც მთლიანობაში გამოყოფილია 4200.0 ათასი ლარი. კეთილმოწყობის სამუშაოები ყველა ადმინისტრაციული ერთეულის მიხედვით ხორციელდება ააიპ „კეთილმოწყობის ცენტრის“ ბაზაზე. ამ კუთხით პროექტი ითვალისწინებს სხვადასხვა კეთილმოწყობის სამუშაოებს: წყალშემკრები არხების მოწყობას და არსებულის მოვლა-შენახვას ტროტუარების, ბორდიურების კეთილმოწყობას, პარკების, გაზონების, სკვერების გამწვანებას და მოვლა-შენახვას, გარე-განათების ქსელის მოვლა პატრონობას, გარე განათებაზე მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების ანაზღაურებას, ტერიტორიების იერსახის გაუმჯობესებას და სადღესასწაულო დღეებში მორთვას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოვლა პატრონობის და კეთილმოწყობის სამუშაოებს.

ქალაქის ცენტრალური ბულვარის რეკონსტრუქციის და კეთილმოწყობის პროგრამისათვის გათვალისწინებულია 390.0 ათასი ლარი.

2018 წლისათვის პროექტით წარმოდგენილია ასევე შპს „ANAKLIA-GANMUKHURIS RESORTS“-ის ფინანსური ხელშეწყობის თანხა 250.0 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული შპს ზღვისპირა კურორტ ანაკლია-განმუხურის ტერიტორიაზე ახორციელებს სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტების, განათების, გამწვანების, სანაპირო ბულვარის ზონის მოვლა-პატრონობის სამუშაოებს.

მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობისათვის, რომელიც ითვალისწინებს მგზავრობის ღირებულების არსებული ტარიფების შენარჩუნებას პროექტით გათვალისწინებულია 100.0 ათასი ლარი.

ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილია განმუხურის ბოტანიკური ბაღების ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ზუგდიდისა და ანაკლია-განმუხურის ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოების ზედამხედველობას და მოვლა-შენახვას.

2018 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია ახლად დაფუძნებული 100 პროცენტის ადგილობრივი წილის მქონე შპს „ზუგდიდაგროსერვისის“ ფინანსური ხელშეწყობის თანხა 250.0 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც ორიენტირებული იქნება სოფლის მეურნეობის და აგრარულ სექტორთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარებაზე.

ადგილობრივი ბიუჯეტის მნიშვნელოვან პროგრამას წარმოადგენს თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა მუნიციპალიტეტში. თავდაცვის უნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები, სამხედრო სამსახურის ბაზაზე, რომლის შენახვის და პროგრამის უზრუნველყოფისათვის პროექტით გათვალისწინებულია 280.3 ათასი ლარის გამოყოფა.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება გამოიყურება შემდეგი სახით: მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადასახდელების საერთო ასიგნება პროექტით შეადგენს

1320.0 ათას ლარს, ხოლო მერიის, სამსახურების და ტერიტორიული ორგანოების შენახვის ხარჯები 7363.7 ათას ლარს.

მუნიციპალიტეტში შრომის ანაზღაურების ფონდი წარმოდგენილია 6018.6 ათასი ლარის ოდენობით, რაც ხარჯების საერთო მოცულობის 19.5 პროცენტია რაც კანონით დასაშვებ ზღვარზე 5.5 პროცენტით ნაკლებია.

საქონელი და მომსახურების მუხლით ასიგნების გამოყოფა გათვალისწინებულია 3196.9 ათასი ლარის ოდენობით.

სუბსიდიები 16460.0 ათასი ლარის ოდენობით. სხვა ხარჯები 2472.5 ათასი ლარის ოდენობით. არაფინანსური აქტივების ზრდა 5093.5 ათასი ლარის ოდენობით.

სარეზერვო ფონდი პროექტით წარმოდგენილია 200.0 ათასი ლარის მოცულობით, რაც საბიუჯეტო კანონმდებლობით დაშვებული ნორმის ფარგლებშია.

სამტატო რიცხოვნება მუნიციპალიტეტის მერიაში დამტკიცებულია 311, საკრებულოში 30 და სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურში 11 ერთეულის, სულ 351 ერთეულის ოდენობით, რაც 51 ერთეულით ნაკლებია ყოფილ მუნიციპალიტეტებში არსებულ სამტატო ერთეულებზე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია ზემოხსენებული ფორმით 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შემთხვევაში უზრუნველყოფს ბიუჯეტის აღსრულებას ყველა ფინანსური პარამეტრის და კანონმდებლობის შესაბამისობით.

გთხოვთ წარმოდგენილი პროექტის განხილვასა და დამტკიცებას.